ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 24

ქ.თეთრიწყარო 19 მარტი 2018 წელი

ერთის მხრივ, **თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ **ი.მ „მერაბ დალაქიშვილი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობისათვის ჰიგიენის საშუალებებისა და სამეურნეო საქონლის (დანართი N1-ს შესაბამისად) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1719.00 ლარს (ერთი ათას შვიდასცხრამეტი ლარი და 00 თეთრი), დღგ-ს ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. დაფინანსების წყარო 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

"მიმწოდებელი" ვალდებულია:

3.1 ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 26 მარტის ჩათვლით უზრუნველყოს შემსყიდველისათვის დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება.

3.2 მიმწოდებელი საქონლის შემოწმებისას უხარისხო საქონლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ უზრუნველყოს მისი ახლით შეცვლა.

"შემსყიდველი" ვალდებულია:

3.3. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხარისხიანი საქონლის დროულად მიწოდების შემდეგ აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება ამ ხელშეკრულების მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობებითა და ვადებში.

4. ანგარიშსწორება

4.1 უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების დასრულების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და წარმოდგენილი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე, მათი წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

5. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

5.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის, ხოლო მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში - კი სახელშეკრულებო ღირებულების 20% ოდენობით, რომლის შემთხვევაშიც შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ჯარიმის გადახდა ან/და დაუკავოს გადასახდელი თანხიდან.

5.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიწოდების დასრულების შემდეგ ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

7. ფორს - მაჟორი

7.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

7.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

8 . ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1.ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება შეწყვეტის შესახებ.

8.4.მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

8.5.ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები

9.1 ხელშეკრულება შიძლება დაირღვეს:

- მხარეთა შეთანხმებით;
- ფორს-მაჟორული სიტუაციით;
- ხელშეკრულების ცალმხრივი დარღვევა შესაძლებელია რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

10. ინსპექტირების პირობები

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს მერიის ქონების მართვის და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახური.

10.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლს მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს:

10.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაშია 2018 წლის 19 მარტიდან 2018 წლის 01 ივნისამდე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი
ქ. თეთრიწყარო, თამარ მეფის ქ. N34
ს/კ 230869254
ა/ა GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი TRESGE22

მიმწოდებელი:

ი.მ მერაბ დალაქიშვილი
მის: ქ. თეთრიწყარო, დიდგორის ქ. N18
ს/კ 22001001123
ა/ა GE20LB0112148121040000
ს/ს „ლიბერთი ბანკი"
ბ/კ LBRTGE22

14. მხარეთა ხელმოწერები

გიორგი ქორიძე
მუნიციპალიტეტის მერი

ი.მ მერაბ დალაქიშვილი

მალხაზ სამაშვილი
მერის პირველი მოადგილე

მოსაწოდებელი საქონლის ნუსხა

№	საქონლის დასახელება	(CPV) კოდი	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ავეჯის საწმენდი სითხე ,,პრონტო“	39812000	20	3	60
2	ქლორის სითხე	39812000	50	2,5	125
3	მინის საწმენდი სითხე	39830000	20	2	40
4	სარეცხი სითხე ,,ფეირი“	39832000	10	2,6	26
5	იატაკის საწმენდი ჯოხი	39831300	3	5	15
6	საწმენდი სითხე ,,დომესტოსი“	39812000	20	3,3	66
7	ნიჟარების საწმენდი ,,კომეტი“	39812000	40	4	160
8	საპირფარეშოს ქაღალდი ,,სელპაკი“	33761000	100	0,7	70
9	საპირფარეშოს ქაღალდი ,,ელფი“	33761000	400	0,5	200
10	თხევადი საპონი ,,კომპაქტი“	33711900	100	1,3	130
11	იატაკის საწმენდი ტილო ,,მიკროფიბრა“	39510000	10	5	50
12	მინის საწმენდი ტილო	39510000	20	1,3	26
13	მაგიდის ტილო	39510000	20	0,8	16
14	ცოცხი	39224100	10	5,5	55
15	ვედრო, იატაკის საწმენდი ჯოხით	39224330	2	15	30
16	რკინის ვედრო/სათლი	39224330	2	8	16
17	ნათურა 150 ვტ.	31531000	200	0,8	160
18	ნათურა 100 ვტ.	31531000	50	0,5	25
19	ეკო. ნათურა 21ვტ.	31531000	50	4	200
20	ანჯამები	44523100	20	2,7	54
21	ბოქლომი	44521210	5	5	25
22	აქანდაზი	44511120	2	1,5	3
23	თვითმჭრელი ხრახნები N3	44531300	3	10	30
24	თვითმჭრელი ხრახნები N4	44531300	3	10	30
25	თვითმჭრელი ხრახნები N5	44531300	3	10	30
26	საკეტის გულები	44522000	14	5,5	77
	ჯამი:				1719

შემსყიდველი: *მიმწოდებელი:*